საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/ 161

05 ივნისი 2022 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" დებულების, სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი).
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 ივლისი N01-02/161 ბრძანების
დანართი N1

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"/,,დამსაქმებელი"), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **გიორგი ბობოხიძე** (შემდეგში - **„დასაქმებული"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების **საგანია ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის** - ---------- (შემდეგში - „პროგრამა") განხორციელებისათვის მოწვეულ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის (შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა") რეგულაცია.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის, დასაქმებულის მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების, მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროგრამის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებისა და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის და დასაქმებულის მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებები, ასევე მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროგრამის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას (ცვლილებები ან/და დამატებები დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

1.4. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად, პროგრამის დამტკიცების ან/და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. **დასაქმებული** აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის **გაცნობილია** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს შინაგანაწესს (რომელიც განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) დებულებას, წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის და დასაქმებულის მოწვევის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებები, ასევე მოწვეული პერსონალის

შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროგრამის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებას, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე – www.bsu.edu.ge და **იღებს ვალდებულებას:**

ა) შრომითი საქმიანობა წარმართოს/სამუშაო შეასრულოს პირადად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში აღნიშნულ/პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისათვის განსაზღვრულ სივრცეში, პროგრამის სასწავლო განრიგით განსაზღვრულ დღეებში და საათებში;

ბ) შრომითი საქმიანობა წარმართოს წინამდებარე შრომით ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების შესაბამისად (საქართველოს შრომის კოდექსის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, ბსუ-ს შინაგანაწესის, საქმისწარმოების ინსტრუქციის, პროგრამის განხორციელების და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად), რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge);

გ) პროგრამის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა მსმენელის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

დ) გაუფრთხილდეს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნება; არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას ან მიაყენებს მატერიალურ ზარალს;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებლის მოთხოვნით წარმოადგინოს ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილებით.

2.2. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა, მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

ბ) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს/გამოითხოვოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული საჭიროების/დამსაქმებლის თანხმობის გათვალისწინებით.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:
ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;
ბ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) შეადგენს 1 საკონტაქტო საათში ----- ლარს, თანახმად ,,----------„ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ---------- ბრძანებისა, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული. საათობრივი შრომის ანაზღაურების ოდენობის/ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე.
3.2. შრომის ანაზღაურება გაიცემა დასაქმებულის მიერ შესრულებული საათობრივი სამუშაოს შესახებ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განთლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.
3.3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ---------- **წლის** ---------- **და მოქმედებს** ---------- **წლის** ----------
4.2. ხელშეკრულების **ვადაზე ადრე შეწყვეტის** საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დასაქმებულის მიერ წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ან/და ბსუ-ს ეთიკის კოდექსით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

გ) დასაქმებულისათვის წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

დ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.3. დასაქმებული წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ' საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

4.4. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია)), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

4.6. **მხარეთა რეკვიზიტები/საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:**

„დამსაქმებელი"	„დასაქმებული"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სახელი, გვარი** ---------- **პირადი ნომერი**
ადმინისტრაციული მისამ: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის N32/35	**რეგისტრ. მის.:** **ფაქტ.საცხ.ადგ:** **ელექტ.მისამარ.** ----------
უნივერსიტეტის რექტორი	**საკონტ.ტელ.** ---------- **საბანკო რეკვიზიტი:**
_____	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 05 ოქტომბრის **N02 გადაწყვეტილების**
დანართი 1
(კოდიფიცირებული)
(ცვლილება - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი") დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის -**პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის** (შემდეგში ,,ცენტრი") მიზნებს, ამოცანებს, საქმიანობის მიმართულებებს და ფუნქციონირების წესს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, ამ დებულებით და ბსუ-ს მართვის ორგანოების სხვა აქტებით.
3. ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:
ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა;
ბ) უწყვეტი განათლება.

მუხლი 2 ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. **პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:**
ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.
2. **უწყვეტი განათლების მიმართულებით ცენტრის მიზნებია:**
ა)აბიტურიენტებს/სტუდენტებს საშუალება მისცეს უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების საფუძვლის შექმნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
ბ) ბსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, საშუალება მისცეს პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარების შეძენისათვის.

3. **ცენტრის ამოცანებია:**
ა) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა;

ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების ხელშეწყობა;
გ) საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებით ბსუ-ს როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება;
დ) ბსუ-ს პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის მიმართულებები

1. პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის საქმიანობა მოიცავს წინამდებარე დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესის, პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოწვევის პროცედურების ორგანიზება, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება, პროფესიული სტუდენტების კარიერულ განვითარებასთან და დამსაქმებლებთან ურთიერთობის პროცესის წარმართვა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა აქტივობები).

2. უწყვეტი განათლების მიმართულებით ცენტრი ახორციელებს შემდეგ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს:

ა) მოსამზადებელი პროგრამები აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ზოგადი უნარები, უცხო ენები და სხვა საგნების სწავლება);
ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების (მათ შორის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს) პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამები;
გ) ფსიქოლოგიის სწავლების (ფსიქოლოგიური დახმარების/მომსახურების) პროგრამების;
დ) უცხოური ენების შემსწავლელი პროგრამები.

3. უწყვეტი განათლების მიმართულებით ცენტრი უფლებამოსილია, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულისა, განახორციელოს:

ა) ბსუ-ს და სხვა დაწესებულებების (საჯარო/კერძო დაწესებულებები, პროფესიული/ზოგადი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების) პერსონალის გადამზადების, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგები/კურსები/სემინარები/სეზონური სკოლები (შემდეგი ,,კურსი“ ან ,,პროგრამა“);
ბ) სასწავლო-მეთოდოლოგიური, საკონსულტაციო, საქველმოქმედო ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, მაღალმთიანი რეგიონების მსმენელთათვის, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებისათვის და სხვა;
გ) ცალკეული ტრენინგ-პროგრამის განსახორციელებლად საჭირო, სწავლების სტანდარტის შესაბამისი სახელმძღვანელოების, კრებულების, მეთოდოლოგიური და სხვა სახის მასალების მომზადება გამოსაცემად;
დ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება (შესაძლებელია გამოიცეს ბუკლეტები, მომზადდეს სარეკლამო რგოლები, განხორციელდეს კონსულტაციები და სხვა საქმიანობა);

ე) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი კურსების/ტრენინგების/სემინარების/სეზონური სკოლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი ცენტრის ბაზაზე განხორციელების ორგანიზება.

მუხლი 4. ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულების ადმინისტრირება

1. ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულების ადმინისტრირება ხორციელდება ცენტრის დირექტორის და პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული ცენტრის პერსონალის მიერ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

2. პროფესიული პროგრამების მართვისმიმართულების ადმინისტრირების ეფექტურობისა და ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხელშეწყობისათვის ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეიქმნას პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულების სამეთვალყურეო საბჭო (რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობა, წევრების რაოდენობა, მათი არჩევის წესი და უფლებამოსილება).

3. პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულების ადმინისტრირების მიზნით ცენტრის მიერ ხორციელდება:

ა) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების კოორდინირება, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, მათ შორის ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად; *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

ბ) პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პერსონალის სისტემატიური შეფასების პროცესის კოორდინაცია, შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისად;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების განაწილების პროცესის (ტარიფიკაციის პროექტის შემუშავების), ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების კოორდინაცია;

დ) პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის წარმოშობის, შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის/რაოდენობის სტატისტიკური აღრიცხვა (ელექტრონული მონაცემების შეგროვება);

ე) პროფესიული განათლების მასწავლებლების და სხვა პერსონალის მუშაობის ხარისხის შეფასება და ანგარიშის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საგანმანთლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის იმ ვალდებულებების შესრულება, რაც დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან;

ზ) ავტორიზაციისა სტანდარტებთან ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის საქმიანობის ხელშეწყობა, ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით

გათვალისწინებული აქტივობების შესრულების კოორდინაცია. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

4. *(ძალადაკარგულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

5. პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრი ასრულებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების დარექტორის მოადგილეების სამსახურებრივ განკარგულებებს/სამართლებრივ აქტებს (ამ პირების კომპეტენციათა ფარგლებში).

მუხლი 5. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების ადმინისტრირება

1. ცენტრის უწყვეტი განათლების ცალკეული მიმართულების ადმინისტრირება ხორციელდება ამ მიმართულების (აბიტურიენტთა მოსამზადებელი მიმართულება/უცხო ენების შესწავლის მიმართულება/ფსიქოლოგიის სწავლების მიმართულება/მასწავლებელთა გადამზადების მიმართულება და სხვა) ხელმძღვანელების (შემდეგში ,,კოორდინატორების“) მიერ.

2. უწყვეტი განათლების მიმართულებით შესაბამის პროგრამაზე/ტრენინგ-კურსზე მსმენელის ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა მსმენელთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მიმართულების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ვიზირებული ცენტრის ფინანსური მენეჯერისა და ცენტრის დირექტორის მიერ). შესაბამის პროგრამაზე ცალკეული საგნობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება, სხვა ჯგუფში გადაყვანა, ჯგუფიდან ამორიცხვა, მსმენელის სტატუსის შეწყვეტა (მსმენელის განცხადების ან მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით) ხორციელდება ასევე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, შესაბამისი მიმართულების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

3. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების ადმინისტრირების მიზნით ამ მიმართულების კოორდინატორი:

ა) ორგანიზებას უწევს შესაბამის მიმართულებაზე მომსახურების გაწევის პროცესს/სასწავლო პროცესს (აყალიბებს სასწავლო ჯგუფებს ან/და აწესებს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს, სასწავლო პროცესის საჭიროების შესაბამისადგანსაზღვრავს აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის მოცულობას, ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/სპეციალისტების მოწვევას, ადგენს ტრენინგების, საკონტროლო ტესტირებების ცხრილებს და სხვა) და ამზადებს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს თითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვას;

გ) ამზადებს სწავლის/მომსახურების საფასურისა და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ ბრძანების პროექტს და ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

დ) ტრენინგ-პროგრამის დასრულების შემდეგ ამზადებს მსმენელისათვის სერტიფიკატის დამზადებისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტს;

ე) ამზადებს და ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით წარადგენს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტს.

4. ცენტრის უწყვეტი განთლების მიმართულების კოორდინატორი ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება საფინანსო საკითხებს (ხარჯთაღრიცხვების, სწავლის საფასურის, შრომის ანაზღაურების შესახებ და სხვა), ამზადებს ცენტრის ფინანსურ მენეჯერთან შეთანხმებით და ცენტრის დირექტორის ვიზირებით წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

5. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა/კურსი განიხილება ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე და საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ბსუ-ს რექტორი.

6. ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების შემთხვევაში, ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების მოკლევადიანი კურსი/პროგრამა ბსუ-ში შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ვიზირებული ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის უფროსის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (პერსონალის საჭიროებებზე და პროგრამის/კურსის ეფექტურობაზე და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე მითითებით) გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

7. ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების შემთხვევაში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მოკლევადიანი პროგრამა/კურსი დასაქმებულმა შეიძლება გაიაროს:

ა) აკადემიური თანამდებობის პირმა - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);

ბ) სამეცნიერო თანამდებობის პირმა - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);

გ) ადმინისტრაციული თანამდებობის პირმა - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა პირადი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ);

დ) დამხმარე თანამდებობის პირმა - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა პირადი განცხადების ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (სასწავლო/სამეცნიერო პროცესის მართვის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებულის შემთხვევაში, ინიციატივა/სამსახურებრივი ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და შესაბამისი მიმართულებით რექტორის მოადგილის მიერ);

ე) შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულმა პირმა - ბსუ-ს რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც შესაძლებელია გამოიცეს

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბარათი ვიზირებული უნდა იქნეს წინამდებარე პუნქტში დადგენილი წესით, კომპეტენციის გათვალისწინებით).

8. უწყვეტი განათლების მიმართულებით პროგრამების განსახორციელებლად და ადმინისტრირებისათვის მიმართულების კოორდინატორის ინიციატივით და ცენტრის დირექტორის თანხმობით (ვიზირებით) ხორციელდება პერსონალის მოწვევა. მოწვეული პერსონალისა და მიმართულების კოორდინატორის სამუშაო (საათობრივი) დატვირთვა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

9. პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობას (ტარიფებს) ამტკიცებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება მზადდება ყოველთვიურად პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს (საათების) რაოდენობის შესახებ მიმართულების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ვიზირებული ცენტრის დირექტორის მიერ).

10. ცენტრის თითოეულ პროგრამაზე სწავლის/მომსახურების საფასური (მათ შორის შეღავათიანი) განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

11. ცენტრის თითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვის პროექტს შეიმუშავებს ცენტრის ფინანსური მენეჯერი/ცენტრის უწყვეტი განათლების შესაბამისი მიმართულების კოორდინატორი და ცენტრის ფინანსური მენეჯერის, ცენტრის დირექტორის, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტის ვიზირებით წარედგინება დასამტკიცებლად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. თითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვის შედგენისას გაითვალისწინება მსმენელთა მისაღები კონტიგენტი, სწავლის საფასური, კურსის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯები. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

11. *(ძალადაკარგულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 6. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭო

1. ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მმართველი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორისა (აკადემიურ სფეროში) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (ფინანსურ სფეროში) წინაშე.
2. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. საბჭოს თავმჯდომარეა ცენტრის დირექტორი, ხოლო საბჭოს წევრები - ცენტრის უწყვეტი განათლების ცალკეული მიმართულებების კოორდინატორები. საბჭოს წევრების მიერ აირჩევა საბჭოს მდივანი, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს საქმისწარმოებაზე (კონტროლს ახორციელებს ცენტრის დირექტორი). საკოორდინაციო საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ. სხდომის ოქმი და დამტკიცებული პროგრამები, ინახება ცენტრის დირექტორთან, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.
3. უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია შეიმუშავოს (განიხილოს) უწყვეტი განათლების მიმართულებით

განსახორციელებელი პროგრამები, რომლებიც წარედგინება დასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს.

მუხლი 7. ცენტრის დირექტორი და სხვა პერსონალი

1. ცენტრის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;

გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

დ) მოქმედებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს (ითანხმებს)ცენტრის ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;

ვ) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ზ) პერიოდულად ისმენს ცენტრის პერსონალის ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) წარადგენს წინადადებებს ცენტრის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების (დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში) გამოყენების თაობაზე;

ი) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს ყოველწლიურად, ასევე რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

კ) თავმჯდომარეობს ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს და პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით სამეთვალყურეო საბჭოს;~

ლ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში.

2. ცენტრის პერსონალის (უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების) სამუშაოთა აღწერილობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ცენტრის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

მუხლი 8. ცენტრის დაფინანსება, ინფრასტრუქტურა და რესურსები *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/05 გადაწყვეტილებით)*

1. ცენტრის დაფინანსების წყაროა ბსუ-ს ბიუჯეტი.
2. ბსუ-ს ბიუჯეტში ცენტრის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის წყაროებია:

ა) პროფესიული პროგრამების ვაუჩერული დაფინანსება;

ბ) პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება;

გ) ცენტრის მიერ მოპოვებული საპროექტო, საგრანტო, საკონკურსო, გამოყენებით, სასწავლო და სხვა დამატებითი საქმიანობით მიღებული დაფინანსება;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული მიზნობრივი დაფინანსება;

ე) მიზნობრივი შემოწირულობები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

3. ცენტრის ადმინისტრაციული საქმიანობისა და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ძირითადად განსაზღვრულია ბსუ-ს N6 კორპუსში (მდებარე ქ. ბათუმი, ლეონიძის N15) განთავსებული ინფრასტრუქტურა (სამუშაო ოთახები, აუდიტორიები, IT ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები, კომპიუტერული ტექნიკა, ინვენტარი, ავეჯი, სხვა სასწავლო და მატერიალური რესურსი).
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, უწყვეტი განათლების მიმართულებით პროგრამების/ტრენინგ-კურსების განხორციელების საჭიროებისათვის, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალისათვის, ბსუ-ს ადმინისტრაცია და ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ბსუ-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული შემდეგი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას:

ა) N1, N2 და N3 კორპუსებში (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N 32/35) - ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, IT ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული კლასები, სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი, სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი“, საერთო სარგებლობის სივრცეები;

ბ) ბსუ-ს N4 კორპუსში (მდებარე ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N12) - ფაბლაბი და საგამოცდო ცენტრი;

გ) ბსუ-ს N7 კორპუსში (ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15) - უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი;

დ) პრაქტიკის ობიექტები - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებისათვის ბსუ-ს და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით და განრიგით;

ე) სხვა საინფორმაციო/ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი აქტით/ხელშეკრულებით/მემორანდუმით.

5. ცენტრის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, მასალებით და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის უფლებამოსილი დასაქმებული (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი ან/და მატერიალური

რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სხვა დასაქმებული, მათი კომპეტენციის ფარგლებში), უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით და ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით (ვიზირებით) წარუდგენს სამსახურებრივი ბარათს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინიციატივით მიღებული წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.